№ 14

შაბათი, 1 თებერვალი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**ხაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 14

შაბათი, 1 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227.


## „ივერია"

**გამოვა 1897 წელს**

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 21 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

**1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.**

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

პირველად ახალი პიესა
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება:

I

**ცოლ-ქმრობის ყვავილები**

კომ.—ფარსი 3 მოქმ. ბიხსლნისა, თარგმ. ნ. გალუსტოვისა.

II

პირველად ახალი პიესა:

**შიშს დიდი თვალები აქვს**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გარგარეთელი, კუნდელი, ივანიძისა და სხ. ბ-ნი აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე აბრამოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

## ახალი ამბავი

—

⁂ დღეს, 1-ს თებერვალს, ჩვენის ქალაქის გამგეობის მიერ მიწვეულნი არიან ტფილისის ყველა ექიმები სხვა-და-სხვა ღონისძიებათა განსახილველად, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას, თუ ვინიცობაა შავი ჭირი გვეწვია.

⁂ იმ საზოგადოებაში, რომლის დაარსებაც ბ-ნ რადეცკის თაოსნობით განზრახულია და რომელსაც ეწოდება „ყრმათა აღზრდის ხელის შემწყობი საზოგადოება", 130 წევრამდის ჩაწერილა. ხვალ, 2 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ამ საზოგადოების დამაარსებელთ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კერძო კრება აქვთ დანიშნული კამისიის ასარჩევად, რომელმაც განზრახულ საზოგადოების წესდება უნდა შეადგინოს.

⁂ გუშინ, 31 იანვარს, ნაშუადღევს, ვეტცელის ქუჩაზედ, კუკიაში, ყულიჯანოვის ახლად აშენებულის სახლის კედელი ჩამოინგრა და ხუთი მუშა მოიტანა ქვეშ: სამი სომეხი და ორი რუსი. ოთხი მუშა იქვე მოკვდა, მეხუთე მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. ისიც ძალიან არის დაშავებული და საეჭვოა, რომ მორჩეს. აი ასეთის საქმნურის სიმკვიდრით შენდება ტფილისში სახლები. პატარა ქარი დაჰბერავს და სართულები ყირაზედ გადადიან.

⁂ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობას, „ნოვ. ობოზრ."-ს სიტყვით, ცნობა მიუღია, რომ სამიწადმოქმედო სამინისტოს იურის-კონსულის თანაშემწე ბ-ნი ლისენკოვი იგზავნება კავკასიაში კერძო კაცთა მიერ სახელმწიფო მამულების დასაკუთრების საქმეთა ადგილობრივ გამოსარკვევადაო.

⁂ დღეს, 1 თებერვალს, საღამოს 8 საათზეო, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში ბ-ნი რადეცკი ლექციას წაიკითხავს. ლექტორს საგნად აქვს აღებული: „მიზეზები მოზარდ თაობის სისუსტისა და რა აკლია ჩვენს ბავშვებს".

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში განუზრახავს კავკასიის სასამართლო უწყებათა დახმარებით ღონისძიება რამ იღონოს, რომ უფრო ადვილად შესაძლებელი გახდეს სახელმწიფო მიწების გამიჯვნა კავკასიაში.

⁂ სამეურნეო საზოგადოებამ წერილი მიიღო საუფლისწულო მამულების მმართველის ბ-ნ კარგიჩევისაგან იმის შესახებ, თუ რა გასაჭირში არიან კახელი მევენახენი და რა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ვაზის სენს. ავადმყოფობას, რომელიც ეხლა აქვს ვაზს, სხვა-და-სხვა სენიც ემატება და ამისთვის, ჩემის აზრითო, ამბობს ბ-ნი კარგიჩევი, უნდა მივმართოთ საფრანგეთს, რომელმაც ბევრი ჭირი გამოიარა ვაზის მოშენების საქმეშიო და იქიდგან მოვიწვიოთ ვაზის საქმის ზედ-მიწევნით მცოდნენიო ვაზის მტრებთან საბრძოლველადაო.

⁂ სამიწად-მოქმედო სამინისტრო ყველა კერძო და სახელმწიფო ტყეების რუკებს ამზადებს თურმე, რათა უფრო მკვიდრად მოაწყონ ტყეების დაცვის საქმე.

⁂ გაზ. „ტფ. ფ." დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ გარდაწყვეტილიაო დაჩქარდეს საქმე ამიერ-კავკასიის მიწა-მამულების გამიჯვნისა.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზრ."-ს ატყობინებენ, რომ სოფ. ძევერაში (გორის მაზრაშია) ნოემბერს აქეთ ყვა-

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი.

**ბენეფისი**

გ. ვ. გედევანოვისა.

ოთხშაბათს, 5 თებერვალს

# ფელეტონი

**ის მესამეა**

ჰენრიხ სენკევიჩისა

II*)

თხუთმეტის წლის შემდეგ სუსლოვსკის სახლის ზარს ჩამოვკარი. კარები გამიღო კაზიმ; მშვენიერება რამ იყო კაზი...

იმისაგან მოჰქროდა ძილის სითბო და დილის სიგრილე, რომელიც თავისის ჩითის კაბით მოეტანა, შლიაპის მოხდის დროს თმები ოდნავ გაეწეწა. პირისახე ულიმოდა, თვალები [illegible]ნოდა, სველს ტუჩებს ღიმილი [illegible]ადა... გამოვტაცე ხელები და დავუწყე ნიდაყვამდის კოცნა; ის-კი ყურში მეკითხებოდა:

— ვინ უფრო გიყვარსო?

ხელი მომკიდა და დედმამასთან მიმიყვანა. მოხუცს შეხედულობა რომაელს მიუგავდა; დედას, ცრემლები ჩამოსდიოდა და ყავის ჭიქაში სცვიოდა. ჩვენ შესვლაზე წამოდგნენ. პან სუსლოვსკიმ სთქვა:

— ჩემი გონება და მოვალეობა ძალას მატანდნენ უარი მეთქვა, მაგრამ მშობლების გული სულ სხვაა. თუ ეს უგონობით მომდიოდეს, უფალმა ღმერთმა დამსაჯოს.

აქ ზეცას მიაპყრო თვალები იმის დასამტკიცებლად, რომ მზად არის გასცეს პასუხი თვით ზეციერს მსაჯულს. პან სუსლოვსკაიამ ხელები გაჰშალა და მწუხარების ხმით სთქვა:

—ჩემო შვილებო? თუ როდისმე გაგიჭირდებათ, აქ იპოვნით ადგილს,.. აქ,—და თავისს გულზედ მიგვითითა. სულელი მიპოვეს!.. კაზის რომ ეგ ეთქვა, მაშინ სულ სხვაა. მაინც-და-მაინც მე გავკვირდი იმათს სიპატიოსნით დიდი და მადლობა გადაუხადე. აღელვებული იმდენს ყავას ვსვამდი, რომ პან სუსლოვსკი შიშით უცქეროდა ყავადანს და ნაღებს. კაზი ყავას მიმატებდა, მე-კი ვცდილობდი იმ დროს ფეხი იმის ფეხისთვის დამედგა, მაგრამ ის ფეხს გამომაცლიდა ხოლმე და ისე ეშმაკურად იცინოდა, რომ მე არ მესმის, ნეტა გული როგორღა დამიდგა საგულეში.

საათ-ნახევარი ვიჯექი. დრო იყო გაქცევისა, რადგანაც სახლში ბაბუსი მელოდა, რომელსაც ხატვას ვასწავლიდი. დედამ და კაზიმ კარებამდის გამომაცილეს. მე ამან ძალიან შემაწუხა—უმჯობესი იქნებოდა, რომ მარტო კაზის გავეცილებინე. რა ტუჩები აქვს!..

ბალზე უნდა გამევლო მრავალი ხალხი მოდიოდა წყლებიდან... გზაზედ შევამჩნიე, რომ ვინც მე დამინახავდა ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: „მაგურსკი! მაგურსკი! ეს ის არის". რა ამბავია?! ნუ თუ ჩემი სახელი ისე შორს გავარდა? ვერაფერი ვერ გამიგია.

მივდივარ... კიბეზედ დავეტაკე სახლის პატრონს სწორედ ისე, ვითარცა ნავი კლდესა. ოჰ! ეხლა კი გაისტუმრე სახლის ქირა.

სახლის პატრონი მომიახლოვდა და სთქვა:

— პან მაგურსკი! მართალია, ხანდახან გაწუხებდით ხოლმე, მაგრამ მერწმუნეთ... ნება მიბოძეთ.

არ დამაცალა, მომეხვია კისერზედ და კოცნა დამიწყო. აა! მესმის! ალბად სულელ სვიატეცკის უთქვამს ჩემი ცოლის შერთვის ამბავი და იმას ჰგონია, რომ მე ამას იქით „სახლის ქირას თავის დროზედ გადავიხდი. რა მენალვლება! იფიქროს მეთქი. კიბეზედ ავირბინე. ლაპარაკის ხმა მომესმა. შევედი სამუშაო ოთახში. კომლისაგან არა სჩანდა-რა. იქ მოეყარათ თავი იულეკ ჟისინსკის, ვახ პოტერკევიჩს, ფრანეკ ცენკოვსკის, მოხუცს სტუდეცკის, კარმინსკის, ვოიტეკ მიხალეკს, საწყალს ბაბუსს სჯიჯგნიდნენ და აწვალებდნენ; ჩემს დანახვაზედ იმას თავი დაანებეს და მოჰყვნენ ყვირილს:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილოცავს!

— აქეთკენ! აქეთკენ!

თვალის დახამხამებაზედ მაღლა ამისროლეს; ძლივს-ძლიობით დავდექი ფეხზედ, ყველას მადლობა ვუთხარი, მერე გამოვუცხადე, რომ უთუოდ სუყველანი უნდა დაესწრნენ ჩემს ქორწილს, მეტადრე სვიატეცკი, რომელსაც ეხლავ ვარჩევ მეჯვარედ მეთქი.

ამ დროს სვიატეცკიმ ხელი მაღლა აიშვირა და სთქვა:

— ამ ბურთს ჰგონია, რომ ჩვენ ცოლის შერთვას ვულოცავთ.

— მაშ რას მილოცავთ?

— როგორ? მაშ შენ არა იცირაო? მეკითხებიან ყველანი.

— რა უნდა ვიცოდე, რა გინდათ ჩემგან?

— მიეცით მაგას „მფრინავ ფურცლის" ნომერიო! დაიყვირა ვახ პოტერკევიჩმა.

მომაჩეჩეს ხელში დილის ნომერი, ერთმანეთს არ აცლიან და მიყვირიან: „დეპეშებში ნახე!"

წავიკითხე:

„საკუთარი დეპეშა „მფრინავის ფურცლისა". მაგურსკის სურათმა „ურიები ბაბილონის მდინარეებზედ", მიიღო დიდი ოქროს მედალი ამ წლის „სალონში". ალბერ ვოლფი აღმოჩენად სთვლის. კრიტიკოსი ვერა ჰპოულობს საკმარისს სიტყვებს მხატვრობის ნიჭის შესამკობლად. ბარონ გირში სურათში იძლევა 1500 ფრანკსაო".

გული მიმდის! მიშველეთ! ისე ვსულელდები, რომ სიტყვის გამოთქმას ველარ ვახერხებ. ვიცოდი, რომ სურათი კარგი მომივიდა, მაგრამ ამ გვარ გამარჯვებას-კი ვერ მოვიფიქრებდი.

„მფრინავ ფურცლის" ნომერი ხელიდგან გამივარდა.

ავიღე და ვკითხულობ ახალ ამბებში შემდეგს განმარტებას.

„ცნობა I. ჩვენ შევიტყეთ ავტორისაგან, რომ იმას ჰსურს თავისი სურათი გამოჰფინოს ქალაქში საჩვენებლად.

„ცნობა II. ხელოვნების წარმატების საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწემ ჰკითხა, ხომ არ აპირობს პან მაგურსკი თავისის სურათის გამოფენას ვარშავაშიო? მაესტრომ უპასუხა: მე ვარჩევ პარიჟში გაყიდვას ვარშავაში გამოფენასაო." ჩვენ დარ-

*) იხ. „ივერია", № 13.

ვილი მძვინვარებს, მაგრამ ჯერცა ყურადღება არ მიუქცევია ვისგანც ჯერს არს, თუმცა ეს სოფელი გორიდგან 12 ვერსტის მოშორებით მდებარეობს და ფართო გზა ტკეცილიც ჩამოუვლისო. ყვავილი არხეინად გადადის ერთის სახლიდგან მეორეში და კიდეც იმსხვერპლა რამდენიმე ყმაწვილიო.

*** იმავე გაზეთს ქუთაისიდგან სწერენ, რომ 28 იანვარს თავ. ს. გ. წერეთლის (ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის) მონაწილეობით რამდენსამე თავად აზნაურს კერძო კრება გაუმართავს და მრავალ საყურადღებო საგნის შესახებ ჰქონიათ სჯა. სხვათა შორის კრებას შემდეგი საგნები განუხილავს: ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, გზების გაკეთება, თავად-აზნაურთა საურთიერთო დახმარების თანხის დაარსება, სათავად-აზნაურო სასწავლებლის გადაკეთება და სხ. კრებამ რამდენიმე კამისია აირჩია თურმე, რომელთაც დაავალა ყველა ამ საგნების ყოველ მხრივ შესწავლა და მოხსენების წარდგენა თავად-აზნაურთა მორიგ კრებისათვის, რომელიც მომავალ მაისში იქნება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ახალსენაკი.** 27 იანვარი. წარსული 1896 წელიწადი ახალსენაკელებისათვის ძრიერ სასიამოვნო წელიწადი იყო. მით უმეტეს, რომ, როგორც მოგეხსენებათ, რვა ნოემბერს ახალ-სენაკში დაიწყო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი და მასთან ყოველგვარის ავეჯი და მდიდარი წიგნთ-საცავი სასწავლებლისა, სადაც ბლომად მოიპოვებოდა სხვა-და-სხვა წიგნი. დაიწვა აგრეთვე ჩვენი დიდება და მშვენიერება „კლუბიც" თავისის მდიდარი მოწყობილობით, რომელიც არა მგონია, ზოგიერთ ქალაქის „კლუბს" ჩამორჩენოდა... სასწავლებლის შესახებ, სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატნი იყვნენ მოწვეულნი წარსულ თვის 10-ს, რათა კრებას მოეძებნა სხვა შენობა სასწავლებლისათვის და სხ. 11 დეკემბერს რიცხვით 40 დეპუტატი შეიკრიბა და შეუდგნენ საქმის განხილვას. თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია ბლაღოჩინი მღვ. მ. ჟვანია შენგელაია. ბევრის სჯისა და თათბირის შემდეგ ზოგიერთ დეპუტატებმა იმ ათი-ათასის მანეთის გარდა, რომელიც ახალ-სენაკელებს შეუწევიათ (უკეთუ სასწავლებელი სამუდამოდ აქ დარჩებოდა), კიდევ ნივთიერი შემწეობა ითხოვეს. ახალ-სენაკელების წარმომადგენლებმა უარი გამოუცხადეს კრებას, მით უფრო, რომ უმაღლესის მთავრობისაგან გარდაწყვეტილია სასწავლებლის ახალ-სენაკში სამუდამოდ დარჩენაო. ამას ზოგიერთი დეპუტატი ვერ დასთანხმდა და მოწინააღმდეგეთ დაიწყეს „კენჭი, კენჭი"-ს ძახილი. რასაკვირველია, ამათი სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნა. კენჭი ჩამოუტარეს. თვით ახალ-სენაკს, ქ. ზუგდიდს, სოფ. მარტვილს, ქ. ფოთს და მცველსენაკს. ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით კენჭის რაოდენობას, თუ რომელ ადგილს რამდენი ხვდა, რადგანაც ყოველივე ესე კრებას რიგიანად არ დაუთვლია.

კრებას დაესწრო მისი მეუფება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელმაც კრების კურთხევის შემდეგ გრძნობით აღსავსე და ტკბილი სიტყვებით მიჰმართა კრებას და უთხრა, რომ მათთვის და მათის შვილებისათვის აერჩიათ ისეთი ადგილი, რომელიც ყოველ მხრივ კარგი და სასარგებლო იქნებოდა. რადგან სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დაარსების საქმე რაღაც სულ სხვა ნაირად მიდის და ვერ იქმნა და ვერ იმისი ერთს ადგილას სამუდამოთ დარჩენა, რათა ამდენს თქვენს ტანჯვა-წვალებასაც ბოლო მოღებოდაო, ამიტომ გირჩევთ, მამანო, აირჩიოთ ერთი ადგილი და იქ დაასაბინავეთო. შემდეგ ამისა კრებამ კვლავ სთხოვა სენაკელებს შემწეობა. გულუხვმა სენაკელებმა უპასუხეს, უკეთუ სამუდამოდ სენაკში დარჩება სასწავლებელი, 3,000 მან. მივცემთ, რათა ამითი ორის წლით უზრუნველ-ვყოთ სასწავლებლისათვის შენობა და მოსწავლეებისათვის სტოლები და სხვანი. ამგვარი შემოწირულებისათვის კრებამ სენაკელებს დიდი მადლობა გამოუცხადა.

დეპუტატთა კრება დასრულდა 14 დეკემბერს და დაადგინეს: სამუდამოდ ახალ-სენაკში დარჩენა სასწავლებლისა.

მადლობა ღმერთსა, ჩვენი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ეხლა მაინც დამტკიცდა ერთს ადგილში და ბოლო მოეღო ამდენს წოწიალსა და ერთის ადგილიდგან სასწავლებლის მეორეში გადატან-გადმოტანას. დროა, ჩვენმა სამღვდელოებამ თავისი საკუთარი შენობაააშენოს და მით ბოლო მოუღოს ამ საჭირ-ბოროტო საქმეს. დიდი ხანია, რაც ახალ-სენაკელებმა სამღვდელოებას სასწავლებლისათვის მშვენიერი ადგილი მისცეს, და ამას გარდა, ათი ათასი მანეთიც ფულად. ამიტომ ურიგო არ იქნება საკუთარის შენობის აშენებას შეუდგეს ჩვენი სამღვდელოება, მით უმეტეს, რომ სასწავლებლის სახლის ქირას ყოველ წლივ ასს თუმანს იხდიან. ეს ფული თვითონ დარჩებათ და არც სასწავლებლის ბედ-იღბალი იქნება საქანელაზედ დამყარებული.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში დაიბეჭდა „იუსტიციის სამინისტროს სასტატისტიკო ცნობათა კრებული". ამ კრებულში ბევრი საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი. მაგალითებრ, ამ კრებულში აღნიშნულ სასტატისტიკო ცნობებს თუ დავუკვირდით, იმ აზრს დაადგებით, რომ

თუ მკვლელობათა რიცხვი გეოგრაფიის კვალადობაზედ იქმნა განაწილებული, რუსეთის სხვა ადგილებთან შედარებით, უფრო ამიერკავკასიაში აქვს ადგილი კაცის-კვლას, განსაკუთრებით ბაქოს, განჯისა და ერევნის გუბერნიებში; ამ ადგილებში უოკელ ასს საქმეში, რომელიც გამომძიებელთან დაწყებულა, 25 კაცის-კვლას შეეხება.

ამიერ კავკასიის შემდეგ პირველი ადგილი ამ მხრივ უნდა დაუთმოს რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილს, ეკატერინოსლავის გუბერნიას და პოლონელთა სამეფოს ზოგიერთ სასაზღვრო გუბერნიებს. ამ ადგილებში კაცის-კვლა სხვა დანაშაულებასთან შედარებით შეადგენს საერთო რიცხვის 6-დგან 20%-მდე.

ამ ანგარიშიდგანვე სჩანს, რომ

რუსეთის უმეტესი ნაწილი მოკლებულია ნაფიც მსაჯულთა კეთილ-მომქმედს გავლენას. ეს დაწესებულება არ არის შემოღებული არც კავკასიაში, არც ჩრდილოეთ მხარეს და იმიერ-ვისლისა და იმიერ-ბალტიის მხარეში, არც ასტრახანისა, ორენბურგისა, ოლონეცისა და უფას გუბერნიებში.

მიაქცევს რა ამ ცნობებს ყურადღებას, რუსეთის გაზეთი „ლუჩი"-ი ამბობს, რომ ერთმა გარემოებამ გაგვაოცაო. უფრო მეტი რიცხვი კაცის-კვლისა კავკასიასა, ასტრახანის გუბერნიასა და იმიერ-ვისლის მხარეზედ მოდის, სწორედ იმ ადგილებში, რომელშიაც ნაფიც ვექილთა დაწესებულება არ არის შემოღებულიო. ამ გაოცებას იქნება ადგილიცა ჰქონდეს, მაგრამ თუ ვერწმუნეთ გამოცდილ კანონის მცოდნეთ, რომელნიც ამბობენ, რომ სადაც ნაფიც ვექილთა დაწესებულებაა შემოღებული, ეს უფრო სამართლიანი და თვით ერის დანაშაულებათა შესახების აზრ-რწმენის უფრო დაახლოვებით გამატარებელი სასამართლოს განაჩენებში,—იქ ამ დაწესებულებას, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, დანაშაულების რაოდენობის შემცირებაზედ გავლენა აქვსო, მაშინ, გაზეთთან ერთად ჩვენც ვისურვებთ, რომ კავკასიაშიაც იყოს შემოღებული ნაფიც მსაჯულთა დაწესებულება.

—

„გაზ. Nár. Nov ში" დაბეჭდილია წერილი სლოვაკების შესახებ ავტორი წერილისა, რომლის შინაარსიც მოყვანილია რუსულ გაზ. „С.-Пет. Вѣд."-ში, მიჰმართავს და სთხოვს, მოებაალეთ სლოვაკებს, რომელთაც თავისს სახლში არავითარი შველა დახმარება არა აქვთო. თუ არ დავივიწყებთ, რომ „სულიერი დევნა ფიზიკურს დევნაზედ უფრო საშინელია", მაშინ სერბები ოსმალეთის ბატონობის დროს უფრო არგს მდგომარეობაში იყვნენ ვიდრე სლოვაკები არიან უნგრელთა ხელშიო.

ბოსნიაში ოსმალნი გვტანჯავდნენ, გვგუწავდნენ, გვარჩობდნენ. მაგრამ ენა ჩრისა თავისუფალი იყო, ყმაწვილები დამშვიდებულნი იყვნენ, ყველას სამშობლო ენაზედ შეეძლო სწავლა, ოსმალთა მიერ დამონებულს სერბებს თავისი სასწავლებლები ჰქონდათ. უნგრეთში-კი სრულიად მოსპეს სლოვაკების სასწავლებლები".

ამასთან წერილის ავტორს, გაზ. „С.-Пет. Вѣд."-ის სიტყვით მემდეგი შემაძრწუნებელი მაგალითი მოჰყავს:

შჩიანიცში 50 მოსწავლე სლოვაკი გამორიცხეს სასწავლებლიდგან, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვათა საგანთა შორის, სლოვაკურ ენასაცა სწავლობდნენ. მასწავლებელთა აზრით სლოვაკთა მიერ თავისის ენის შესწავლა მავნებელი „პანსლავიზმია". კანონით-კი ყველა საშუალო სასწავლებლებში სწავლა იმ ენაზედ უნდა სწარმოებდეს, რომელიც ჰმეფობს ამა თუ იმ ადგილსაო. თუ ამ კანონს მივხედეთ, შჩიავნიცის გიმნაზიაშიაც-კი სწავლა სლოვაკურად უნდა იყოსო.

## რუსეთი

—

რუსეთის რკინის გზების სახალხო მატარებლის ვაგონებში განზრახულია დააარსონ ბუფეტები, რომელშიაც

---

წმუნებული ვართ, რომ ამ სიტყვებს შთამომავლობა მაესტროს საფლავზედ წაიკითხავს.

„ცნობა III. მაესტროს დედა პარიჟიდგან დეპეშის მიღების შემდეგ აღელვებისაგან ცუდად გამხდარა.

„ცნობა IV. ამ ნომრის დაბეჭდვის დროს შევიტყეთ, რომ მაესტროს დედა უკეთ გამხდარა.

„ცნობა V. ჩვენს მაესტროს სთხოვეს გამოჰფინოს თავისი სურათი ევროპის ყველა დედა-ქალაქებში".

მადენმა საზიზღარმა ქორმა გონზედ მომიყვანა. ოსტშინსკი, „მფრინავ ფურცლის" რედაქტორი და კაზის დათხოვნილი საქმრო, უთუოდ გაგიჟებულა. რაღა თქმა უნდა, სურათს ვარშავაში ვაჩვენებ ყველას; მაგრამ ჯერ ერთი, რომ მე ამის შესახებ არავისთვის არა მითქვამს-რა; მეორე ისა, რომ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს არაფერი უკითხავს; მესამე ისა, რომ მე არავისთვის არაფერი მიპასუხნია; მეოთხე ისა, რომ დედა-ჩემი ათი წელიწადი იქნება, რაც გარდაიცვალა, მეხუთე ისა, რომ ჩემთვის არავის არაფერი უთხოვნიარა.

უფრო უარესი: უცბად თავში ამ აზრმა გამიელვა,—თუ თვით დეპეშაც ისე მართალია, როგორც ეს ხუთი ცნობა, მაშინ... ოსტშინსკი, რომელმაც ამ ორის წლის წინად კაზისაგან უარი მიიღო, უთუოდ განგებ მასულელებს, მაგრამ მე ვაჩვენებ იმას სეირს.

ამხანაგები მაშოშმინებენ და მეუბნებიან, რომ ოსტშინსკის შეეძლო ცნობები შეეთხზა, დეპეშა-კი ნამდვილიაო. შემოვიდა სტახ კლასსოვიჩი „მალ-მოსიარულის" დილის ნომრით. დეპეშა იქაც არის. თავისუფლად ამოვისუნთქავ.

ეხლა ცალ ცალკე დამიწყეს მოლოცვა.

მოხუც სტუდეცკიმ, ყალბმა და შაქარსავით ტკბილმა პირუტყვმა, ხელი დამიჭირა და მითხრა:

— ღმერთია მოწამე, ამხანაგო, მე ყოველთვის მომწონდა თქვენი ნიჭი, მე ყოველთვის გესარჩლებოდით (ვიცი, ვიცი ვირს მეძახდით), მაგრამ, შეიძლება, თქვენ არა გსურდეთ ამხანაგი დაგიძახოთ.. მაშ, ამხანაგო, მაპატიეთ ჩემი ჩვეულებაო...

მე პასუხს ვერ ვახერხებდი, რადგანაც იმ დროს კარმინსკიმ გამიხმო და დამიწყო ჩურჩული, მაგრამ ისე, რომ სხვებს ესმოდათ.

— იქნება გიჭირდესო?.. მხოლოდ მითხარით—და მე...

კარმინსკი ცნობილია ჩვენს შორის იმითი, რომ თავისს ნაცნობებს ხელს უმართავს ხოლმე გაჭირვებაში. დღე არ გავა, რომ ერთს ჩვენგანს არ უთხრას: „ამხანაგო, თუ გიჭირთ, ჩამჩურჩულეთ და მე... ნახვამდის." მართლა-და ფული ყოველთვის აქვს. უთხარი, თუ ვინიცობაა სხვაგან ვერ ვიშოვე, მაშინ თქვენ მოგმართავთ-მეთქი. ამ დროს მომიახლოვდნენ სხვები და მეხვევიან. ბოლოს მომიახლოვდა სვიატეცკი. აღელვებული იყო, მაგრამ ჰმალავდა თავის აღელვებას და სასტიკის ხმით თქვა:

— ვხედავ, რომ შენ უფრო-და-უფრო ურიას ემსგავსები, მაგრამ მაინც გილოცავო.

— მეც ვხედავ, რომ შენ უფრო-და-უფრო სულელდები, მაგრამ მაინც მადლობას გეუბნები-მეთქი, უთხარი. ვახ პოტერკევიჩმა გამოაცხადა, რომ ყელი ამომეხრანწაო. ფულების შეკრებას შეუდგნენ... ჩემის სადღეგრძელოს სმა დაიწყეს. როდესაც გაიგეს, სუსლოვსკისთან საქმე გათავებულიაო, კაზის სადღეგრძელო დალიეს. სვიატეცკი მომიახლოვდა და მითხრა:

— შენ გგონია, სულელო, რომ იმათ არ იცოდნენ, ვიდრე წერილს გამოგიგზავნიდნენ?

— ოჰ! საძაგელო სანახავო! გეგონებოდათ, თავში ცული დამარტყესო. სუსლოვსკისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ არა მგონია კაზის მაგისთანეების მოხერხება შეეძლოს...

შესაძლებელია, რომ დილით გაზეთი წაიკითხეს და მაშინვე ჩემთან აფრინეს კაცი.

მინდოდა სუსლოვსკისთან წასვლა, მაგრამ ამხანაგებს თავი ვერ დავანებე. შემოვიდა ოტშინსკი, მორთული, ცივი და გულ-დაჯერებული, ახალი ხელ-თათმანები ეცვა. დიდი გამოქნილი ადამიანი იყო!

კარებიდამვე დაიწყო ჯოხის ქნევა და მფარველის კილოთი სთქვა:

— მამილოცავს, მაესტრო, მეც მამილოცავსო, „მეც" იმ გვარადა სთქვა, რომ გეგონებათ იმისი მილოცვა უფრო მეტსა ჰნიშნავდა, ვიდრე სხვისა. შეიძლება ასეც ყოფილიყო...

— რეები მოგიროშავს შენს გაზეთში მეთქი, ვკითხე.

— რა მენაღვლებაო, სთქვა ოსტშინსკიმ.

— სურათის გამოდგმისა მე არა მითქვამს-რა.

— ეხლა ხომ ამბობო,—ფლეგმატიურად მიპასუხა ოსტშინსკიმ.

— მაგას დედა არა ჰყავსო! დაიყვირა ვოიტეკ მიხალეკიმ.

— ეგ ჩემთვის საინტერესო არ არისო, ღირსეულად უპასუხა ოსტშინსკიმ.

— დეპეშა ხომ ნამდვილია?

— ნამდვილია.

ამ სიტყვამ ცოტა არ იყოს დამამშვიდა. მადლობის გადასახდელად პუნში დავუსხი. იმან ცოტა მოსვა და სთქვა:

— ეს შენი სადღეგრძელო იყოს, მეორესაცა ვსვამ... იცი ვის სადღეგრძელოს?.. ორჯელ მომილოცნია.

— საიდგან გაიგე?

— ოსტშინსკიმ მხრები აიშმუშნა.

— დღეს დილით რვა საათზედ სუსლოვსკი რედაქციაში იყო.

სვიატეცკი რაღასაც ბუტბუტებდა ადამიანის სისაძაგლის შესახებ. ვეღარ მოვითმინე და ქუდს წამოვავლე ხელი. თან ოსტშინსკი გამომყვა. იმას გზაზედ თავი დავანებე და ხელ-მეორედ ჩამოვრეკე სუსლოვსკის სახლის ზარი.

კარები კაზიმ გამიღო,—დედამამა სახლში არ იყო.

— კაზი! ვუთხარი სასტიკად, დეპეშის ამბავი იცოდი?

— ვიცოდი, მიპასუხა დამშვიდებით.

— ახ, კაზი!

— რა იყო, ჩემო კარგო? ნუ გი-

გაჰყიდიან მაგარ სასმელებს, ყოველგვარ საჭმელსა, ჩაისა და სხ. სწორედ ისე, როგორც ეს საზღვარ-გარეთის რკინის გზებზედ არის შემოღებული.

—

უმართებულესს სენატს ამას წინად ერთი ფრიად საყურადღებო გარდაწყვეტილება დაუდგენია. სენატს ის აზრი გამოუთქვამს, რომ პოლიციას უფლება არა აქვს აღძრას საქმე იმათ წინააღმდეგ, რომელნიც თავისს მეზობელ მემამულეს ეზოსაკენ მოქცეულს კედელს, კარ-ფანჯარას დაატანენ. ასეთს შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოში უნდა იქმნას დაწყებული საჩივარი სამოქალაქო წესით და საჩივარიც იმან უნდა დაიწყოს, ვისი უფლებაც არის დარღვეულიო. როცა კანონი სხვის მიწა-ადგილზედ კარ-ფანჯრის გაღებას უკრძალავს, ამით ის აქვს საგნად, რომ ადგილის პატრონს მიენიჭოს სრული უფლება თავისის საკუთრებით სარგებლობისა და მაშასადამე, იმაზედვეა დამოკიდებული, მისცემს მეზობელს ნებას თავისის უფლების დარღვევისასა თუ არაო.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** როგორც გაზეთები ამბობენ, დიდი უსიამოვნება თურმე ჩამოვარდნილა ამ ჟამად გერმანიის იმპერატორ ვილჰელმსა და მოხუც ბისმარკის შორის. ამას წინად ბისმარკმა თავისს გაზეთში რამდენიმე დიპლომატიური საიდუმლო გამოამჟღავნა და ამან გერმანიის მიმართ წყენა და სამდურავი აღძრა, როგორც რუსეთსა, ისე ავსტრი-უნგრეთში. ეს არ იკმარა და ამ ბოლო ხანებში უდიერად მოიხსენია იმპერატორის განკარგულება. საქმე ის არის, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა საჭიროდ სცნო აფიცერთა კორპორაციის განახლება, ამის გამო მრავალი ხანში შესული აფიცერი დაითხოვა სამსახურიდგან და მათ მაგიერ უფრო ახალგაზდები დანიშნა. იმპერატორის ამ გვარმა მოქმედებამ, რაღა თქმა უნდა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჯარის-კაცთა შორის. მოხუცმა ბისმარკმა ეს ხელზე დაიხვია და თავის წერილებით უფრო გაამწვავა უსიამოვნება. იმპერატორს არა სურს უკიდურესი ღონისძიებანი იხმაროს ბისმარკის წინააღმდეგ. ბისმარკი იმდენად სახელგანთქმულია, ისე დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანების საქმეში, რომ იმპერატორი ერიდება ისტორიის მსჯავრს და არ უნდა ბისმარკი სასტიკად დასაჯოს. ხოლო ისე-კი კარგად აგრძნობინა ბისმარკს, რომ გიწყრებიო. ამას წინად იმპერატორის სასახლეს მინისტრი გრაფი ვედელი თავისს ქალს ათხოვებდა და ქორწილში მიჩვეული სხვა დიდებულთა და წარჩინებულთა შორის ჰერბერტ ბისმარკიც იყო, შვილი კანცლერად ნამყოფის ბისმარკისა. იმპერატორმა მიპატიჟებულ სტუმართა სია წაიკითხა და ვედელს უბრძანა, რომ თუ ქორწილში ჰერბერტ ბისმარკი იქმნება, მე აღარ მოვალო. რა თქმა უნდა, მინისტრი ვედელი იმპერატორის უსიამოვნო საქმეს ვერ ჩაიდენდა, ჰერბერტ ბისმარკთან ბოდიში მოითხოვა და ქორწილში მიწვეულს უარი განუცხადა.

ბისმარკის მომხრე გაზეთები არა ჰმალვენ, რომ ჰერბერტ ბისმარკს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის იმპერატორის წინაშე, მაგრამ იმპერატორის ასეთი მოქმედება მოხუც ბისმარკის საქციელმა გამოიწვიაო. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალ 22 მარტს, როდესაც დღესასწაული იქნება ვილჰელმ პირველის დაბადების დღის ასი წლის შესრულებისა, იმპერატორი შეურიგდება ბისმარკსაო.

—

ერთს გერმანულს გაზეთში მოყვანილია ამავე გაზეთის კორესპონდენტის საუბარი ბისმარკთან, რომელიც ამ ბოლო ხანებში ხშირად თურმე ავადმყოფობს: „მეო, უთქვამს კორესპონდენტისთვის ბისმარკს: ავად როდი ვარ, მხოლოდ დაღალული ვარო, ჩემი ავადმყოფობა უფრო იმისაგან წარმოსდგება, რომ სიცოცხლე მომბეზრდა, ცხოვრებასთან აღარაფერი არ მაკავშირებს, სამსახურში მე არა ვარ, რომ პასუხის-მგებელი ვიყო რისამე და მხოლოდ გარეშე მაყურებლად ყოფნას-კი გული არა სჯერდება. რაც დიდ ხანს ვიცოცხლებ, ის უფრო უარესია ჩემთვის, რადგან მე ჩემს თავს ობლადა ვგრძნობ. ცოლი კარგა ხანია დავჰკარგე და შვილები თავიანთ გზას ადგიან. რაც დრო გადის და ვბერდები, სასოფლო მეურნეობაშიაც ნაკლებს სიამოვნებას ვპოულობ. ტყე და ველიც შემძულდა და სასეირნოდაც ნაკლებ დავდივარ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცხენზედ ჯდომა და ნადირობა აღარ შემიძლიანო. პოლიტიკაც თანდათან მაბეზრებს თავს. ვიმეორებო: ჩემის ავადმყოფობის მიზეზი ის არის, რომ სიცოცხლის სიყვარული დავკარგეო.

—

**იტალია.** როგორც ვუწყით, იტალია ერთი სამთა მოკავშირეთაგანია. ჯერ კიდევ გრაფ რობილანმა, გარეშე საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, დიდი სურვილი გამოიჩინა იტალიის გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთთან დაკავშირებისა; ხოლო რობილანის მიერ დაწყებული საქმე კრისპიმ დაამთავრა. იტალიის გამოცდილებამ დაანახა, რომ საფრანგეთთან მტრობა, იმ საფრანგეთთან, რომლის მეოხებითაც გაერთიანდა დაქსაქსული იტალია, და გერმანიასთან და ავსტროუნგრეთთან კავშირი ძვირად დაუჯდებოდა. სამხედრო ბეგარამ იტალიის მკვიდრნი წელში მოხარა, ხალხი უკიდურესს სიღარიბეში ჩააგდო და მთავრობის წინააღმდეგ მრავალჯერ მოძრაობა გამოიწვია; ამასთანავე, აფრიკის პოლიტიკაშიაც რამდენჯერმე დამარცხდა იტალია. ყოველივე ეს იტალიის ერს და მისს საუკეთესო მამულიშვილთ საბუთს აძლევდა სცდილიყვნენ, რომ როგორმე იტალია სამთა კავშირს გაშორონ და საფრანგეთს დაუახლოვონ. როცა აბაშეთთან ომის დროს იტალია დამარცხდა და კრისპის სამინისტრო იძულებულ შეიქმნა სამსახურიდგან გადამდგარიყო, იტალიის სამინისტროს ახალმა პრემიერმა—დი-რუდინიმ გარეშე საქმეთა მინისტრად ვისკონტი-ვენოსტა მიიწვია. გაზეთებმა მაშინვე ხმა გაავრცელეს, რომ ვისკონტი-ვენოსტამ იმ პირობით იკისრა მინისტრობა, თუ იტალია საფრანგეთს დაუახლოვდებაო. როგორც ამ ბოლოს დროს მჟღავნდება, იტალია მართლაც ამ გზას დასდგომია. ამ საგნის შესახებ გერმანიის ერთს გაზეთს საყურადღებო წერილი მიუღია რომიდგან. კორესპონდენტი იწერება, რომ რომში ძლიერ ესიამოვნათ გრაფის მურავიევის რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშვნაო; ჰფიქრობენო, რომ მურავიევი ეცდება რუსეთი დაუკავშიროს იტალიას ისე, როგორც საფრანგეთთან არის დაკავშირებულიო. კვირინალში იმ აზრისანი არიან, რომ იტალია დიდად დავალებულია რუსეთისაგან იმით, რომ მისის წყალობით იტალია და საფრანგეთი თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთსაო. ოფიციოზურ გაზეთებს ნაბრძანები აქვთ, რომ, რაც შეიძლება, უფრო მეტის პატივისცემით მოიხსენიონ საფრანგეთიო.

პარიზის გაზ. „Temps“-ს ატყობინებენ რომიდგან, საფრანგეთის მთავარ მინისტრად ნამყოფი ლეონ ბურჟუა ინახულა მეფე ჰუმბერტმა და ამ დარბაზობით დიდად ნასიამოვნები დარჩა ბურჟუაო. დარბაზობამ 45 წუთს გასტანა და ამ დროს განმავლობაში მეფე გრძნობით აღსავსე სიტყვებით იხსენიებდა თურმე საფრანგეთს. სხვათა შორის მეფეს უთქვამს: მე ბედნიერად ჩავრაცხ ჩემს თავს, საფრანგეთი და იტალია ერთმანეთს რომ დაუახლოვდებოდნენ, როგორც პოლიტიკურისა, ისე ვაჭრობის მხრივაო. ბურჟუამ, ვისკონტი-ვენოსტიც ნახა, რომელთანაც ლაპარაკმა ძრიელ კარგად იმოქმედა იმაზედაო.

---

## დამაკვირდი

რომელსაც ცოტა არ აკმაყოფილებს, იმას არა დააკმაყოფილებს-რა.

ეპიკური.

***

ერთი დღე ჭკვიანის კაცისა სულელის მთელს სიცოცხლეზე მეტია.

არაბული ანდაზა.

***

როცა საწყენი რამ შეგემთხვიოს, ეგ ჯერ კიდევ უბედურება არ არის; ნუ დაივიწყებ, რომ ღირსეულად ატანა წყენისა ბედნიერებაა.

მარკ-ავრელი.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

სტატისტიკის საბუთებით აღმოუჩენიათ, რომ დედა-კაცი უფრო ხანგრძლივადა სცოცხლობს ვიდრე მამა-კაცი. ამერიკის შეერთებულ შტატების მკვიდრთა აღწერამ 1890 წელს აღმოაჩინა, რომ 3981 ას და მეტწლოვან ადამიანთა შორის 2,583 დედა-კაცია და მარტო 1398 მამა-კაცი. საფრანგეთში აღმოჩენილა, რომ იმათ შორის, რომელნიც ასს წელიწადზედ მეტისანი ყოფილან, 66 მამა-კაცია და 147 დედა-კაცი. ლონდონში 1891 წ. სულ 21 ადამიანი ყოფილა, რომელთაც ასს წელიწადს გადაუჭარბებიათ. ამდენივე აღმოჩენილა შოტლანდიაში. ორსავ შემთხვევაში 16 დედა-კაცი ყოფილა და 5 მამა-კაცი. საფრანგეთში საერთოდ ისე სთვლიან, რომ ას წლოვან ათთა მოხუცთა შორის შვიდი დედა-კაცი მოდის და სამი მამა-კაცი და ერთობ ქვეყნიერობაზედ გამოურკვევიათ, რომ ოცდასამს ას-წლოვან მამა-კაცზედ ორმოცდა-ექვსი დედა-კაცი მოდის, ესე იგი ერთი ორად მეტი.

ღირს შესანიშნავი ის არის, რომ ამტკიცებენ ვითომც ვისაც ასს წლამდე და მეტიც უცოცხლია, თითქმის სულ ღარიბნი ყოფილან. ინგლისელი ვილიამ კლერკი ამბობს, რომ „ჩვენ რომ ნამეტან სმას არ მივყვეთ, თავ-დაჭერილად და თავ-მარხულად ვიცხოვროთ, ხორცი ჩვენი კარგს მდგომარეობაში იქნება და დიდხანსაც გასძლებსო. თითქმის ყველანი, ვისაც-კი ას წლამდე მიუღწევია, სულ ღარიბნი ყოფილანო და

---

კვირს, დედ-მამა..., იმათთვის საჭირო იყო გასამართლებელი რამ საბუთი, რომ დათანხმებულიყვნენ შენს თხოვნაზედ.

— შენა, კაზი?

— მე ეს შემთხვევა გამოვიყენე... ვლადეკ, იმედია დანაშაულობად არ ჩამითვლი ამას, არა?

მე მგონი, კაზი მართალია. რაზედ მოვიჭერ გიჟივით?

კაზი მომიახლოვდა, თავი მხარზედ დამადო, გადაწვა ჩემს ხელზედ, თვალები დახუჭა და წაიჩურჩულა.

— არა, არა, ვლადეკ... ეხლა ნუ... ქორწილის შემდეგ... გთხოვ!

შევასრულე იმისი თხოვნა და ერთი კარგად ვაკოცე.

— როგორა გთხოვე, რომ შენ არ...

მე ხელ-ახლად ვაკოცე. კაზი მიყვარს უზომოდ და მეყვარება კიდეც სიკვდილამდის, სიკვდილის შემდეგაც! ან ის, ან არავინ — გადაჭრილია.

კაზის ეშინოდა, რომ მე იმის პატივისცემას დავკარგავდი. ძვირფასო გოგონა! რას სულელობ. ვამშვიდებდი, როგორც-კი შემეძლო.

— პირობა დავდეთ, რომ თუ ვინიცობაა ცოლ-ქმარნი სუსლოვსკები დამალავდნენ დეპეშის ცოდნის ამბავს, მე არას შევამჩნევინებდი... მერე გამოვეთხოვე კაზის და სიტყვა მივეცი, საღამოზე მოვალ-მეთქი.

გავიქეცი ხელოვნების წარმატების საზოგადოების კანცელარიაში: იქიდან უფრო ადვილი იყო ჩემთვის მიწერ-მოწერის გამართვა „სალონის“ მდივანთან.

### III

დეპეშა გაუგზავნე, რომელშიაც ვაცხადებდი, რომ თანხმა ვარ ბარონ გირშის ფასზედ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ჯერ სურათს ვარშავასა და სხვაგან გამოვფენ მეთქი. დეპეშის გასაგზავნად და სხვა საჭიროებისათვის ფული ვისესხე; ფულის სესხებაზე უარი არავინ მითხრა. საქმე კარგად მიდის...

„მფრინავ ფურცლებში“ და „მალე მოსიარულეში“ დაბეჭდილია ჩემი ბიოგრაფია, რომელშიაც ერთი სიტყვაც არ არის მართალი, მაგრამ ოსტშინსკისა არ იყოს, მე რა მენაღვლება, ორმა ნახატებიანმა გაზეთმა მთხოვეს, მონაწილეობა მივიღო იმათს გამოცემაში. მთხოვეს აგრეთვე ჩემი სურათიც. ძალიან კარგი!

ფული ბლომად მექნება.

### IV

ერთის კვირის უკან ბარონ გირშისაგან ბე მივიღე. დანარჩენს მაშინ მოგცემთ, როდესაც სურათს ჩავიბარებ, მანამდე-კი სავაჭრო ბანკმა გადმომითვალა 5,000 ფრანკი ოქროთი. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამდენი ფული. ვირივით დატვირთული დავბრუნდი სახლში.

ჩემს სამუშაო ოთახში მთელი კრება იყო. ლუიდორები იატაკზედ დავყარე, ჩავწექი შიგ და ვგორაობდი. შემს შემდეგ სვიატეცკიმაც იგორავა... შემოვიდა სახლის პატრონი და ასე ეგონა, ჰკუაზედ შეშლილანო... კაცის მჭამლებივით ვცელქობდით.

### V

ერთხელ ოსტშინსკიმ მითხრა, ჩემს თავს ბედნიერად ვგრძნობ მას შემდეგ, რაც კაზიმ უარი გამომიცხადაო. ჩემთვის, რასაკვირველია, ეს სულ ერთია. დარწმუნებული ვარ, რომ ოსტშინსკი ცხოვრებაში არ დაილუპება.

კაზის დედ-მამა იმისი მომხრენი იყვნენ, თითონ კაზის-კი საშინლად სძულდა. ეს სისულელე რაღაც შეუგნებელი სიძულილი იყო, რადგანაც დარწმუნებული ვარ, კაზის ვერ გააკვირვებდა იმითი, რითაც გვაკვირვებს ჩვენ, დაახლოვებულს ნაცნობებს.

ოსტშინსკი ძალიან საოცარი ადამიანი იყო, უკეთ რომ ვთქვათ, უცნაური მწერალი.

მარტო ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ მოიპოვებიან იმისთანა ადამიანები, რომელთა შესახებაც თქვენდა უნებურად ეკითხებით თქვენს თავს: საიდან ეძლევათ მათ დიდკაცობა და მედიდურობაო.

სწორეთ ამ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა ეს ჩემი მცნობიც. ვინ დაიჯერებს, რომ მისი მნიშვნელობა და დასაბამი მისის ზნეობრივის ცხოვრებისა იმაში მდგომარეობდა, რომ არაფრად მიაჩნდა და არა სწამდა-რა ნიჭისა, მეტადრე მწერლების ნიჭისა. სხვა გვარად რომ ვთქვათ, იმას საერთოდ ნიჭი ათვალწუნებული ჰქონდა...

ეს კიდევ არაფერი, იგი სიძულვილით ეკიდებოდა ნიჭს და დარწმუნებულიც იყო, რომ ხერხიანობა, ჩქარი მოსაზრება და ენა-მახვილობა საკმარისია ცხოვრებაში გასამარჯვებლადაო. უნდა გენახათ იგი სალიტერატურო კრებებზედ — რანაირის მოწყალე კილოთი ჰსჯიდა იმათ შესახებ, რომელნიც იმაზედ გაცილებით მაღლა იდგნენ და უფრო მეტი მნიშვნელობაცა ჰქონდათ, რანაირად აჩუმებდა აბნევდა თავისის სოფიზმებითა და ლოგიკით.

სვიატეცკი ისე არ მოიგონებს ხოლმე ამ ადამიანს, რომ ტახტის ფიცარს ხელი არ წამოავლოს იმის თავის გასატეხად, მაგრამ მე არ მაკვირვებს ოსტშინსკის გამარჯვება. ნამდვილად ნიჭიერნი უმეტესად გაუბედავნი და მოუხერხებელნი არიან... დასტოვეთ ნამდვილი ნიჭი მარტო და მაშინ ნახავთ, რა მალე შეესხმის ფრთები. ოსტშინსკის იმის ადგილას დაეძინებოდა, — ეს იმიტომ, რომ არა აქვს-რა სალაპარაკო თავის თავთან. ამ გვარ ადამიანებს მერმისი შესაფერს ადგილს და შესაფერს ხარისხს დაუნიშნავს. ოსტშინსკი იმდენად ჰკვიანია, რომ ესმის ეს კანონი, მაგრამ მაინც დასცინის მერმისს.

იმისთვის საკმირისია, რომ აწინდელს ცხოვრებაში რამე ფასს სდებენ და ისე ვერ აუვლიან გვერდზედ, რომ პასუხი არ გასცენ.

ჩვენ, მხატვრები, არაფერს უშლით იმას. ხან-და-და-ხან აქებს ხოლმე მწერლებს, ისიც მაშინ, როდესაც იცავს „მფრინავ ფურცლის“ ინტერესებს. მაინც და მაინც კარგი ამხანაგია. მიყვარს კიდეც, მაგრამ... ჯანდაბას მისი თავი, — კმარა იმის შესახებ ლაპარაკი.

(შემდეგი იქნება)

იმათ რომ უფრო ბევრი სიამოვნება ჰქონოდათ, ეგრე ხანგრძლივ ვერ იცოცხლებდნენო“. სიღარიბეს ეს ერთი კეთილი მაინც სჭირებია, თუ ყოველივე ეს მართალია.

აი ამის თაობაზედ რას გვაუწყებს ერთი სამეცნიერო ინგლისური ჟურნალი. 16 ას-წლოვან მხცოვან დედა-კაცთა შორის სამს დედა-კაცს მიუღწევია 105 წლამდე. ამათში ორი მთხოვარა ყოფილა და მესამე მებაღის ქვრივი. დანარჩენ 13 ას-წლოვან დედა-კაცთა შორის არც ერთი იმისთანა არ ყოფილა, რომ გაუჭირებელი ცხოვრება ჰქონოდეს. სულ ყველა ესენი დაბალის წოდების წრისანი ყოფილან: ქვრივები და ქალიშვილები კალატოზებისა, ხელზე მოსამსახურეებისა, მიწის-მთხრელებისა და მებაღეებისა. ხუთს ას-წლოვან მამა-კაცში, რომელნიც შოტლანდიის სტატისტიკაში არიან მოხსენებულნი, სულ თავისის ხელით მცხოვრებელნი ყოფილან, მაგალითებრ, მწყემსად, ფეიქრად, მიწის მთხრელად და მხვნელ-მთესველად.

ერთის ას-წლოვან დედა-კაცისათვის, რომელსაც ელიზა ვორკი ჰრქმევია, უკითხავთ ნიუიორკში: რა სასწაულით მიაღწიე მაგ დრომდე ეგრე ჯან-მრთელად, დილიდამ საღამომდე მუშაობაშიო? იმას უთქვამს: იმ სასწაულითაო, რომ ჩემ დღეში ყავა და ჩაი არ დამილევია და უფრო იმითი, რომ არ გავთხოვდიო და ქმარი არ შევირთეო. სწორედ ამაების მადლობელი ვარ, რომ ამ ხანამდე ისე მოვაღწიე, არა სატკივარი არა მქონია და ერთი კბილიც არ დამკლებიაო. ჩემი უბედური ძმა ას ერთი წლისა გადაიცვალა, ცოლი რომ არ შეერთო უფრო მეტს ხანს იცოცხლებდაო“.

ეს ხომ ესეა, მაგრამ სტატისტიკის საბუთი არ ემოწმება ელიზე ვორკის სიტყვას. იმ ზემოხსენებულ 16 მხცოვან დედა-კაცთა შორის 15 ქვრივია და მარტო ერთი გაუთხოვარი. (ნ. ვ.)

***

ერთ საფრანგეთის სამეცნიერო ჟურნალში საოცარი ამბავია აწერილი. ამ ამბავს გაუკვირვებია ყველა ბუნების მეტყველი მეცნიერი. ერთ მდინარის ნაპირას ამერიკაში უპოვნიათ ორ-თავიანი რკუ. ამ ორ-თავიან რკუს, რომელიც უფრო სქელია, ვიდრე სხვა რკუ, ოთხი ფეხი ჰქონია სხვათაებრ და ერთი კუდი. ხოლო სტომაქი, კუჭი, გული, ფილტვი, ჩონჩხი ორ-ორი ჰქონია. ეგ კიდევ არაფერი: თვითო თავს თავისი საკუთარი სურვილი და ნება ჰქონია, თავისი საკუთარი თვისება. ერთი უფრო მკვირცხლი, უფრო ფრთხალი და კაპასი ყოფილა, მეორე უფრო დინჯი და აუჩქარებელი თვითოეული თავი ცალკე სჭამდა, სვამდა, სულთქავდა, მეორეზე სრულიად დამოუკიდებლად. მოძრაობა აგრედვე, ერთი რომ აქეთ იწევდა, მეორე იქით. როცა ერთს ეძინა; მეორე მოძრაობდა დაუბრკოლებლივ თავისის სურვილისამებრ. ხოლო თუ ორსავ თავს ეღვიძათ, სიარული მეტად ძნელი იყო: თვითოეული თავი თავისაკენ იწევდა და ერთს წვალებაში იყვნენ. მარცხენა რკუს უბედურება შეემთხვა, კატამ უკბინა კისერში და მოკვდა. მარჯვენამ მას შემდეგ სულ ორ საათ-ნახევარი-ღა იცოცხლა. ამ საწყალ ორ-თავიან ცხოველს სულ სამი თთვე უცოცხლია. (ნ. ვ.)

***

თუ გნებათ, რომ ჩითი რეცხაში არ გახუნდეს, აი ამ წამალს გვირჩევენ: წყალი ათბეთ, ვიდრე ადუღდება. დასჭერით საპონი და შიგ ჩაყარეთ და პატარა ნიჩბით ამტვრიეთ შიგვე საპონი, მერე წმინდა ცივი წყალი ჩაასხით ასე, რომ ძლივს ნელ-თბილი წყალი დადგეს; ამის შემდეგ შინაური მარილი ჩააყარეთ, რომ წყალი ცოტა დამლაშდეს. ამისთანა წყალში სამჯერ შეიძლება გაირეცხოს ჩითეულობა.

სხვა წამალსაც ამბობენ: აიღეთ ხარის ნაღველა სამს თუნგს თბილს წყალში გახსენით, ამაში გარეცხეთ ჩითეულობა; მერე აქედამ ამოიღეთ ხელ-ახლად გარეცხეთ თბილ წყალში საპნითა. ამ უკანასკნელს ღონისძიებას უფრო ამჯობინებენ. (ბ. ზ.).

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გულითად მადლობას ვწირავთ ბ-ნს ჩხიკვაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს პატარა წიგნთ-საცავს ნოტებზედ გადაღებული კახური სიმღერები („სალამური“). იმედი გვაქვს, რომ ბ-ნს ჩხიკვაძეს სხვანიც მიჰბაძვენ და შემოსწირვენ ჩვენს წიგნთ-საცავს წიგნაკებს, რომლებსაც ეტანება და სიამოვნებით კითხულობს ციმბირში გადმოსახლებული ქართველი კაცი, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ვერ ვაკმაყოფილებთ ყველას, რადგანაც წიგნებით დიდად ღარიბნი ვართ.

ტომსკის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები.

# დეპეშა

30 იანვარი

**პარიზი.** პალატის სამხედრო კომისიამ მოიწონა ლაგერისსის წინადადება სამხედრო ველოსიპედისტთა რაზმის შესახებ.

**ლონდონი.** ბრძოლამ ბიდას ახლოს ფელლახთა ჯართან განთიადიდგან შუალამემდე გასტანა. მტრის ჯარი, 300,000 (?) კაცისაგან შემდგარი, დაბანაკებული იყო მთიანს ადგილას ბრიტანიის ბანაკსა და ქალაქ ბიდას შორის და ძლიერის რაზმით შემოერტყა ერთს მხარეს ბრიტანიის ჯარისას და უკანიდგან უპირებდა თავ-დასხმას. დილის 10 საათზედ ბრიტანიის ჯარმა იერიში მიიტანა და მტერი ქალაქშივე შერეკა. ნაშუადღევის 2 საათზედ კვლავ დაიწყო სროლა; ზარბაზნებმა მტერი დიდად დააზარალა; ფელლახებმა უკან დაიწიეს, მაგრამ ბინდამდე სროლა არ შეუწყვეტიათ. ბრიტანიის მხრივ ერთი პორუჩიკია მოკლული. ქალაქი ბიდა აიღეს ბრიტანიელებმა.

**კონსტანტინოპოლი.** სასანიტარო საბჭომ დაადგინა: ბასრაში სასანიტარო კომისია დაინიშნოს და მიენდოს, რომ ზღვის ნაპირებს განსაკუთრებულად ადევნონ თვალ-ყური და აგრეთვე საზღვრებსაც, რათა შავი ჭირი არ იქმნას არსაიდგან შემოტანილი. ინდოეთის ნაწარმოებთათვის 15 დღის კარანტინია დაწესებული; ხოლო იმ გემებისათვის, რომლებზედაც იქნება შემთხვევა შავის ჭირით ავად გახდომისა, —20 დღისა; ბელუჯისტანიდგან წამოღებულ ნაწარმოებთათვისაც ამ ვადის კარანტინია დანიშნული.

**კონსტანტინეპოლი.** კრიტის გენერალ გუბერატორისაგან მოსულ ცნობიდგანა სჩანს, რომ კასსალოში 23 მაჰმადიანი მოუკლავთ.

სინოდმა და ერის კაცთა საბჭომ ერთხმად შემდეგი პირობანი დაუდო პატრიარქს: ან შესცვალე ეკკლესიის კანონთა წინაალმდეგი შენი დადგენილებანი, ან შენს თანამდებობას თავი დაანებეო. პატრიარქი ამის შემდეგ გადადგა სამსახურიდგან. მისის თანამდებობის ასრულებლად დანიშნულია ეფესის ეპისკოპოსი.

**ვაშინგტონი.** სენატისა და პალატის წარმომადგენელთა შეერთებულს სხდომაზედ ოფიციალურად იქმნა აღიარებული, რომ შეერთებულ შტატების პრეზიდენტად მაკ-კინლეია ამორჩეული; ვიცე პრეზიდენტად—გობარტი.

**მადრასი.** დიდს საჯარო კრებაზედ დადგენილ იქმნა: არ იქმნას მოწონებული ინდოეთის მთავრობის საქციელი, რომელიც მლოცველებით მექაში მიმავალს გემებს ნებას აძლევს, მადრასის მთავრობის წინადადების წინაალმდეგ, ცურვა მადრასიდგან დაიწყონო. გარდაწყვეტილ იქმნა, რომ სტატს-სეკრეტარსა ვთხოვოთ ქომაგობა გაგვიწიოსო.

**პრეტორია.** აღმასრულებელმა საბჭომ გამოარკვია რაოდენობა იმ ზარალის სასყიდელისა, რომელიც უნდა მოეთხოვოს Chartere Company-ს ჯემსონის შესევისათვის. ოფიციალურად ჯერ არაფერია გამოქვეყნებული, მაგრამ ისე ხმა დადის, რომ ეს ზარალი 1.000,000 გირ. ოქროდ არის აღრიცხულიო.

31 იანვარი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ვარშავის ოლქის მზრუნველს ბ-ნს აპუხტინს უმოწყალესის რესკრიპით ებრძანა დაესწროს უმართებულესს სენატში.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. პრეზიდენტმა აუწყა, რომ იმპერატორმა რეიხსტაგს გადმოსცა თავისის ხელით დაწერილი ოთხი რუკაო, რომელშიაც აღნიშნულია გერმანიისა, საფრანგეთისა, რუსეთისა, ამერიკისა და იაპონიის ფლოტების ვითარება, განსაკუთრებით ახლად აგებულ გემებისა. ეს რუკანი რეიხსტაგის ფოიეშიაგამ ჰკიდეს.

**ლონდონი.** გაზეთს „Times“-ს სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: პორტამ დეპეშით მიანდო თავისს ელჩებს, რომ მან იშუამდგომლოს სახელმწიფოთა წინაშე, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კრიტის მდგომარეობას და თვალ-ყური ადევნონ საბერძნეთის მოქმედებას.

კანეიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ „Times“-ს, რომ ჰერაკლეიონში საქმეთა ვითარება უცბად გამწვავდაო. ოსმალეთი თავს ესხმიან და იკლებენ ქრისტიანეთა სახლებს; გაქცეულ ხალხს არ აძლევენ ნებას ზღვით უშველონ თავს.

„Times“-სი იუწყება, რომ ჰალეპის ბერძნების საელჩოში შეიარაღებული ქრისტიანები იცავენ ბერონვიჩ-ვაშასაო.

**ლონდონი.** გაზეთი „Times“ ს ათინიდგან აუწყებენ დეპეშით, რომ პატარა ნაღმიანი გემები იმიტომ გაიგზავნა, რომ ოსმალეთის ერთი ნაღმიანი გემი დარდანელის სრუტედგან კრიტისაკენ გაემართაო, და სალონიკაში გემებზედ ჯარი დასხდებაო. კრიტის ცენტრალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც საეროვნო ბანკის დირექტორად ნამყოფი რენიერია, დიდს მზადებას შეუდგა იმ აზრით, რომ კრიტის საქმეს ხელი შეუწყოს. პირველი რაზმი, რომელიც 600 შეიარაღებული ჯარის-კაცისაგან შესდგება, უკვე წავიდა კრიტისაკენ.

**კონსტანტინეპოლი.** კანეიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ იქ მხოლოდ მაჰმადიანები დარჩენილან. ყველა ქრისტიანები სამხედრო გემებზედ არიან შეკრებილნი. აჯანყებული ქრისტიანები შველას ახლო-მახლო ადგილებიდგან მოელიან, რის შემდეგაც ქალაქისაკენ აპირებენ წასვლას. კანდიასა და რეტიმნოში მაჰმადიანები იკლებენ და არბევენ მცხოვრებლებს. უცხო ქვეყნის სამხედრო გემები და მათ შორის საბერძნეთისაც გაემართნენ იქით. მაჰმადიანებმა მრავალი სამხედრო საწყობი აიკლეს.

**კანეია.** რამდენმამე მაჰმადიანთა ოჯახმა, რომელთაც წარსულ წელში აღკრძალული ჰქონდათ კუნძულიდგან გასვლა, ეხლა მიიღო ამის ნება, მაგრამ როცა მიდიოდნენ გზაზედ და ჯარი იცავდა, ქრისტიანები თავს დაესხნენ. მოთმინებისაგან გამოსული მცხოვრებლები იკლებენ ყველაფერს და სცდილობენ ხელი შეუშალონ უცხო-ქვეყნელების წასვლას. ადგილობრივი მთავრობა არაფერს მონაწილეობას არ იღებს.

**კანეია.** ახალი არაფერია. ამბოხება მახლობელს ოლქებში თითქოს მიწყნარდა. ამ ჟამად ნაპირის მახლობლად სდგანან გემები: 3 საფრანგეთისა, 2 რუსეთისა, 3 ინგლისისა და 1 ავსტრიისა.

**კალკუტა.** ყოველ მხრიდგან არა ერთ გზის მოსულ ხმების წინაალმდეგ ამტკიცებენ, რომ კალკუტაში ერთიც არავინ გამხდარა ავად შავი ჭირით. ინდოეთის მთავრობამ დეპეშით შეატყობინა ეს ამბავი სტატს-სეკრეტარს ჰამილტონს და ამას დასძინა, რომ ყოველ გვარს ღონისძიებას ვხმარობ, რათა თავისუფალი მიმოსვლა გვქონდეს ნავთ-სადგურთან იმ დრომდე, ვიდრე კონფერენცია ვენეციაში რაიმე გადაწყვეტილს აზრს დაადგენსო. შემდეგ უცხადებს, რომ არც ყანდაარსა და არც მთელს ავღანისტანში ერთიც არავინ გამხდარა შავი ჭირით ავადაო. ბელუჯისტანში სასტიკი ღონისძიებანია მიღებული. ინდოეთიდგან მგზავრებს დიდად ადევნებენ თვალ-ყურს. ბელუჯისტანშიაც არა ყოფილა ჯერ არც ერთი შემთხვევა, რომ შავი ჭირით ავად გამხდარიყოს ვინმე.

**1897.** ГОДЪ СЕДЬМОЙ. **1897.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ
на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

**„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“**

Въ 1897 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ издаваться въ своемъ обычномъ объемѣ. Въ составъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и разсказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анекдоты —Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

**Съ января 1897 года въ приложеніи будетъ печататься историко-литературная монографія ГЕОРГА БРАНДЕСА**

**ВИЛЛІАМЪ ШЕКСПИРЪ**

Исторія его жизни и дѣятельности по его твореніямъ и на основаніи критическаго изслѣдованія наилучшихъ источниковъ Шекспирской литературы. *Въ трехъ частяхъ своего труда Георгъ Брандесъ прослѣживаетъ жизнь и творчество Шекспира въ условіяхъ его времени изъ года въ годъ, отъ сочиненія къ сочиненію, и возсоздаетъ яркій образъ этого величайшаго изъ геніевъ всемірной литературы.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1897 ГОДЪ ПРЕЖНЯЯ:** съ доставкою и пересылкою **4 р.** | безъ доставки и пересылки **3 р. 50 к.**

**подписка на 1896 годъ продолжается по той же цѣнѣ.**

**подписка принимается:** въ С.-Петербургѣ— въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, №63, магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ— въ Конторѣ Н. Н ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы“ за 1891, 1892, 1894, и 1895 гг. продается по 4 р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаровъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

**ТАМЪ ЖЕ ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА**
НА 144 ТОМА СОЧИНЕНІЙ СЛѢДУЮЩИХЪ ПИСАТЕЛЕЙ:

Э. Зола, Бальзака, Флобера, Ж. Занда, Диккенса, Вальтеръ Скотта, Бретъ-Гарта, М. Твэна, Этгара Поэ, Шпильгагена, Гофмана и Эберса.

**ВСѢ 144 ТОМА** будутъ изданы въ теченіе трехъ лѣтъ, по 48 том. въ годъ, т. е. по 4 тома ежемѣсячно, по 320 стран. въ каждомъ томѣ въ 8 д. листа, четкимъ шрифтомъ. Форматъ и шрифтъ - собранія сочиненій Гюи де Мопасана.

*По 15 Ноября 1896 г. вышло 48 томовъ*

**ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:**

**ЗА ВСѢ 144 ТОМА** безъ доставки **36 Р.,** съ доставкою въ Петербургѣ и съ пересылк. въ друг. города **48 Р.**

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

**Подписчикамъ безъ доставки:** при подпискѣ вносится 15 руб., къ 15 декабря 1896 г. 3 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится 3 р.

**Подписчикамъ съ доставкой и пересылкой:** при подпискѣ вносится 20 руб., къ 15 декабря 1896 г. 4 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится по 4 р.

*По этой цѣнѣ подписка принимается только* **на 5000 экземпляровъ,** *а затѣмъ ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПОВЫСИТСЯ. о чемъ будетъ объявлено своевременно.*

*ТАМЪ ЖЕ можно получить СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ:*
ГЮИ ДЕ МОПАСАНА. 2-е изданіе. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.
АЛ. ДОДЕ. 12 томовъ Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.
В. ТЕККЕРЕЯ. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

ИЗЯЩНЫЕ КОЛЕНКОРОВЫЕ ПЕРЕПЛЕТЫ:
Цѣна 6 переплетовъ на 12 томовъ А. Додэ 1 р. 80 к., на 12 том. В. Теккерея 1 р. 80 к. и на 12 том. Гюи до Мопосана 1 р. 80 к. Перес. 6 перепл. за 3 ф., по разстояніямъ. **АДРЕСОВАТЬСЯ:** въ редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, Спб., Верейская, 16 или въ контору, Гостиный дворъ, магазинъ П. Ѳ, Пантелеева, № 63.

(12—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 31 го Января 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.